

ბახაბერ ბაბელაშვილი

ეკონომიკის დოქტორი, ქუთაისის უნივერსიტეტის
ასოცირებული პროფესორი

საბარეო ვაჭრობის დასავლური ვექტორი: ანალიზი და პრობნოზები

თანამედროვე ეტაპზე მსოფლიო ეკონომიკური გლობალიზაციის ძირითადი მამოძრავებელი ინდიკატორებს წარმოადგენენ საგარეო ვაჭრობა და უცხოური ინვესტიციები. სწორედ მათი საშუალებით მიმდინარეობს მეცნიერულ-ტექნიკური და ტექნოლოგიური მიღწევების გადაადგილება განვითარებული ქვეყნებიდან განვითარებად ქვეყნებში, რაც უზრუნველყოფს ამ უკანასკნელთა ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას და შესაბამისად მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

პრაქტიკამ დაადასტურა, რომ გლობალიზაცია განსაკუთრების დადებით შედეგებს იძლევა იმ ქვეყნებში, რომლებმაც დროულად აღიარეს თავისუფალი ვაჭრობის პოლიტიკა და, შესაბამისად, გაამარტივეს სხვა ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების მექანიზმები. თავისუფალი ვაჭრობის პირობებში შრომის საერთაშორისო დანაწილებაში მონაწილეობა, ერთი მხრივ, ქვეყნებს აძლევს გარკვეული ეკონომიკური სარგებლის მიღების საშუალებას, ხოლო მეორე მხრივ, იწვევს მათ ჩართვას მწვავე საერთაშორისო კონკურენციაში. ეროვნული ბიზნესი ერთვება რა შრომის საერთაშორისო დანაწილებაში, იგი იძულებული ხდება სიღრმისეულად დასპეციალდეს იმ დარგების განვითარებაზე, რომლისთვისაც მოცემულ ქვეყანაში არსებობს წარმოების შეფარდებითი უპირატესი პირობები. ამავე დროს, საერთაშორისო კონკურენცია აიძულებს მათ გააუმჯობესონ წარმოებული საქონლისა და მომსახურების ხარისხი და შეამცირონ წარმოების ხარჯები. ყოველივე ეს საბოლოო ჯამში იწვევს ეროვნული ეკონომიკის ეფექტიანობის ამაღლებას, ადგილობრივი და იმპორტირებული ფართო ასორტიმენტის საქონლითა და მომსახურებით წარმოებისა და მოსახლეობის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას. გარდა ამისა, საერთაშორისო ვაჭრობის სისტემაში ჩართული ქვეყნები მნიშვნელოვან სარგებელს იღებენ პარტნიორი ქვეყნებიდან ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიების იმპორტირების შედეგად. უპირველეს ყოვლისა ეს არის ახალი ცოდნა და გამოცდილება, რომელიც თან ახლავს იმპორტირებულ ტექნოლოგიებს და ინვესტიციებს.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაცია პოზიტიურ მხარეებთან ერთად შეიცავს გარკვეულ საფრთხეებს. უპირველეს ყოვლისა ეს გულისხმობს მსოფლიოში მიმდინარე მწვავე კონკურენციის შედეგად სუსტად განვითარებული და ნაკლებად კონკურენტული ეროვნული დარგების გაკოტრების საფრთხეს. ასეთი მუქარების წინაშე ძირითადად დგებიან გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნები და მათ შორის საქართველოც. როგორც ცნობილია, ჩვენი ქვეყნის დარგობრივი სტრუქტურიდან უკანასკნელი ორი ათეული წლის განმავლობაში, დაბალი კონკურენტუნარიანობისა და არასწორი ეროვნული ეკონომიკური პოლი-

ტიკის გატარების გამო, თითქმის მთლიანად გაქრა მთელი რიგი ტრადიციული დარგები (მეჩაიეობა, მეთამბაქოეობა და სხვა) და საწარმოები (ხარხმშენებელი, ელექტრონული დასხვა), რომლებსაც უახლოეს წარსულში წამყვანი პოზიციები ეკავათ ქვეყნის ეკონომიკასა და საქსპორტო საქონლის სტრუქტურაში.

ეროვნული ეკონომიკის უსაფრთხოების დაცვის სხვადასხვა მოდელები არსებობს. ეროვნული ეკონომიკის კონკურენტუნარიანობის დაცვის მიზნით შეიძლება გამოყენებულ იქნას იმპორტის რაოდენობრივი შეზღუდვის ან იმპორტირებულ საქონელსა და მომსახურებაზე მაღალი საბაჟო ტარიფების დაწესების რეჟიმი, რომლის შემთხვევაში მათი ფასი ადგილობრივ ანალოგიურ პროდუქციასთან შედარებით გაძვირდება და ნაკლებად კონკურენტული აღმოჩნდება. მაგრამ ეს გზა გარდამავალი ეკონომიკის ქვეყნებისათვის არაეფექტიანია, რადგან ცნობილი მიზეზების გამო იგი ვერ უზრუნველყოფს ადგილობრივ მოთხოვნილებას მაღალხარისხიანი საქონლით და მომსახურებით, რაც თავის მხრივ, ანელებს ეკონომიკურ განვითარებას. მეორე მხრივ, იმპორტიორმა ქვეყანამ ეკონომიკური უსაფრთხოების დაცვის კუთხით შეიძლება მიიღოს გადაწყვეტილება საკუთარი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად ყველა სახეობის საქონლისა და მომსახურების ადგილზე წარმოების შესახებ. თუმცა ასეთი მიდგომა მხოლოდ თეორიულად არის დასაშვები, რადგან არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც დამოუკიდებლად შეეძლოს საკუთარი მოთხოვნილების დაკმაყოფილება იმპორტის გარეშე მხოლოდ ადგილობრივი წარმოებით.

საქართველომ აღიდგინა რა სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა, კურსი აიღო ლიბერალურისავაჭრო პოლიტიკისაკენ და მსოფლიო ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესში ჩართვისაკენ. გარდამავალ ეტაპზე სახელმწიფოს მიერ გატარებული სატარიფო პოლიტიკის შედეგად საქართველოს დღეისათვის გააჩნია მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური სავაჭრო სავაჭრო პოლიტიკა. პოსტსაბჭოური ქვეყნებიდან საქართველო ერთ-ერთი პირველი იყო, რომელიც წარმატებით გაწვევრიანდა ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში, რითაც მან დაადასტურა მზადყოფნა ვაჭრობის ლიბერალიზაციისაკენ.

საქართველოს სავაჭრო მეკავშირე ქვეყნების უმეტესობა არის ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის წევრი და შესაბამისად მათთან სავაჭრო ურთიერთობებს ახორციელებს “უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმის” (MFN-Most-Favored-Nation) საფუძველზე. გარდა ამისა საქართველოზე ვრცელდება პრეფერენციათა განზოგადებული სისტემა (Generalized System of Preferences - GSP), რომლის ძირითადი არსია ბენეფიციარი ქვეყნები და ნიშპორტირებულ საქონელზე საბაზო საიმპორტო ტარიფის შემცირებული განაკვეთების დაწესება, რაც აიოლებს განვითარებადი ქვეყნების საქონლის შეღწევას განვითარებული ქვეყნების ბაზარზე. ასეთი რეჟიმის ბენეფიციარ ქვეყანათა გაერთიანებებს და ქვეყნებს წარმოადგენენ ევროკავშირი, აშშ, იაპონია, კანადა, შვეიცარია და ნორვეგია. გარდა ამისა, საქართველომ უზრუნველყო თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმის დამყარება დსთ-ს ყველა ქვეყანასთან და თურქეთთან. ასეთი რეჟიმი გულისხმობს შეთანხმების მონაწილე მხარეებს შორის უმეტესი სახეობის სავაჭრო საქონლის გათავისუფლებას საბაჟო-საიმპორტო გადასახადისაგან. საქართველოს ორმხრივი თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებები გაფორმებული აქვს რუსეთთან, აზერბაიჯანთან, სომხეთთან, უკრაინასთან, მოლდოვასთან, ყაზახეთთან, უზბეკეთთან, თურქმენეთთან და თურქეთთან.

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ლიბერალური და კონკურენტული სავაჭრო რეჟიმი აქვს. 2006 წლიდან საიმპორტო ტარიფების 16 სატარიფო განაკვეთი შემცირდა 3 განაკვეთამდე (0,5 და 12%). საიმპორტო ტარიფები გაუქმდა პროდუქციის თითქმის 85%-ზე. მთლიანად გაუქმდა სეზონური ტარიფები.

ექსპორტი ან რექსპორტი საქართველოდან განთავისუფლებულია საბაჟო გადასახადისაგან. გამომდინარეობს, რომ საქართველო იყენებს საქონლის დამატებული ღირებულების დაბეგვრას დანიშნულების ქვეყნის პრინციპით, ექსპორტი ამ გადასახადით არ იბეგრება. საქართველოს საგადასახადო კოდექსის შესაბამისად, დამატებული ღირებულების გადასახადის და სააქციზო გადასახადის განაკვეთები ადგილობრივ და იმპორტირებულ პროდუქციაზე თანაბარია.

საგარეო ვაჭრობა თავისუფალია არასატარიფო შეზღუდვებისაგან (ლიცენზირება, კვოტირება, აკრძალვები და სხვა). გამონაკლისია შემთხვევები, როდესაც ეს აუცილებელია ჯანმრთელობის, უსაფრთხოებისა და გარემოს დაცვისათვის.

უკანასკნელ წლებში საქართველოს სავაჭრო პოლიტიკის მთავარი ვექტორი მიმართულია ევროკავშირისაკენ, განსაკუთრებით კი მას შემდეგ, რაც რუსეთმა ემბარგო დააწესა ქართულ პროდუქციაზე. ამჟამად ევროკავშირი, როგორც 27 ქვეყნის გაერთიანება საქართველოს რიგით პირველი სავაჭრო პარტნიორია. ევროკავშირის ბაზარზე საკმაოდ მაღალი მოთხოვნით სარგებლობს თხილი და კაკალი, ღვინო, მინერალური წყლები, სპირტიანი სასმელები, ხილისა და ბოსტნეულის წველები, უალკოჰოლო სასმელები, ცხოველური ტყავები და ა.შ. ასევე სამრეწველო პროდუქცია: მინერალური სასუქები, სპილენძის მადნები და კონცენტრატები; შავი ლითონის და სპილენძის ჯართი და ნარჩენები, მანგანუმი სოქსიდები და სხვა.

ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობა დაიწყო საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენისთანავე. ევროკავშირმა გარდამავალ ეტაპზე საქართველოს დიდი ფინანსური და ტექნიკური დახმარება აღმოუჩინა. ევროკავშირთან ურთიერთობები განსაკუთრებით განმტკიცად უანასკნელი ათი წლის განმავლობაში. 1999 წელს შევიდა ძალაში პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმება (PCA), რომელიც ითვალისწინებს ფართო მასშტაბიან თანამშრომლობას პოლიტიკურთან ერთად ვაჭრობისა და ეკონომიკის სხვა საკითხებზე. ამ შეთანხმების საშუალებით გაუქმდა კვოტები ვაჭრობის სფეროში დამხარეებმა ერთმანეთს მიანიჭეს უპერატესი ხელშეწყობის რეჟიმი. 2005 წლის დეკემბერში ევროკავშირმა საქართველოს მიანიჭა პრეფერენციების ზოგადი სისტემით (GSP) სარგებლობის უფლება, რომელიც 2008 წელიდან გაგრძელდა GSP+ რეჟიმით. ეს უკანასკნელი ითვალისწინებს საქართველოდან ევროკავშირში ექსპორტირებული საქონლის საბაჟო გადასახადებისგან გათავისუფლებას და ტარიფების ცალმხრივად შემცირებას.

გარდა ამისა, ევროკომისიამ 2003-2004 წლებში შეიმუშავა საგარეო პოლიტიკის ახალი მიმართულება – ევროპის სამეზობლო პოლიტიკა (ENP), რომლის მიზანია გაფართოებულ ევროკავშირსა და მის მეზობლებს შორის ახალი გამყოფი ხაზების თავიდან აცილება და უსაფრთხოების უზრუნველყოფა. აღნიშნულ პროგრამაში საქართველო ჩაერთო 2004 წელს, ხოლო 2006 წელს მიღებულ იქნა სამოქმედო გეგმა, რომლითაც განისაზღვრა საქართველოს და ევროკავშირის შორის თანამშრომლობის სტრატეგიული ამოცანები.

ევროკავშირმა 2009 წელს წამოაყენა აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივა, რომლის მიზანი იყო საქართველოში, და პოსტსაბჭოურ ზოგიერთ ქვეყანაში პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური რეფორმების მხარდაჭერა. აღნიშნული ინიციატივა მიზნად ისახავს უფრო ღრმა პოლიტიკურ თანამშრომლობას ევროკავშირთან ახალი ასოცირების შეთანხმებების დადებას. ამ უკანასკნელის ამოცანაა ევროკავშირის ეკონომიკაში ინტეგრირება ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის საშუალებით.

აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის ფარგლებში ევროკავშირმა საქართველოსთან „ღრმა და ყოვლისმომცველი“ ვაჭრობის სივრცის (DCFTA) შესაქმნელად წამოაყენა შემდეგი აუცილებელი პირობები: ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების ლიბერალიზაცია, სურსათის უვნებლობა, ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვა და კონკურენციის უზრუნველყოფა. საქართველომამ მიმართულებებით ევროკომისიის რეკომენდაციების შესაბამისად განახორციელა რიგი ღონისძიებები: ევროკავშირის მხრიდან ვაჭრობის ტექნიკური ბარიერების კუთხით ძირითადი რეკომენდაციები იყოს ტანდარტიზაციის, აკრედიტაციის, შესაბამისობის შეფასების, ტექნიკური რეგლამენტების და მეტროლოგიის სფეროში სამთავრობო პროგრამის მომზადება. ეს სამუშაოები საქართველოს მთავრობამ წარმატებით შეასრულა. სურსათის უვნებლობის კუთხით ევროკავშირის მოთხოვნა იყო ამ სფეროში საქართველოში მოქმედი კანონმდებლობის შეჩერებული მუხლების ამოქმედება (ძირითადად შეეხებოდა საქსპორტო-პროდუქციის კონტროლს), რაც მთავრობამ შეასრულა კიდევაც. ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვის კუთხით ევროკომისიის რეკომენდაცია იყო საქართველოს ბაზრის კვლევის დაწყება, რაც ასევე დროულად იქნა განხორციელებული. ევროკავშირის ბოლო მეოთხე მოთხოვნა გულისხმობდა კონკურენციის მარეგულირებელი კანონის შემოღებას, რაც მოიცავდა თავისუფალი ვაჭრობის და კონკურენციის სააგენტოს დამოუკიდებელ ორგანოდ გარდაქმნას. ეს სამუშაო დაწყებულია, თუმცა ბოლომდე არ არის მიყვანილი.

გამომდინარე ზემოაღნიშნულიდან ევროკავშირმა და საქართველომ 2013 წელს დაასრულეს მოლაპარაკებები ასოცირების შეთანხმების (AA), მათ შორის ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) თაობაზე, ხოლო ამავე წლის ნოემბერში შედგა შეთანხმების პარაფირება აღმოსავლეთ პარტნიორობის ვილნიუსის სამიტზე. ასოცირების შეთანხმება წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოების ძირითად ინსტრუმენტს. ის შედგება 4 მთავარი თავისგან: საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა; მართლმსაჯულება და საშინაო პოლიტიკა; ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DDbFA); და მეოთხე თავი მოიცავს მთელ რიგ საკითხებს გარემოს დაცვის, მეცნიერების, ტრანსპორტისა და განათლების საკითხების ჩათვლით.

შეიძლება ითქვას, რომ ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ისტორიული მნიშვნელობისაა, რადგან წვდომა ევროკავშირის, მსოფლიოში ერთ-ერთ უმსხვილეს და მდიდარ ბაზარზე არის მძლავრი იმპულსი ქართული ბიზნესისა და ექსპორტის განვითარებისათვის. ხელშეკრულება ღრმა და ყოვლის მომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ მოიცავს პროდუქტებით ვაჭრობას, საბაჟო გადასახადების გაუქმებისა თუ შემცირების ჩათვლით. გარდა ამისა, იგი იძლევა მომსახურების ბაზრის ხელმისაწვდომობის და საინვესტიციო გარემოს

გაუმჯობესების შესაძლებლობებს. ხელშეკრულების მიზანია ვაჭრობის მაქსიმალური ლიბერალიზაცია, მარეგულირებელი პოლიტიკის რიგ სფეროებში კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის სტანდარტებთან. არსებული საბაჟო გადასახადებისა და მარეგულირებელი ბარიერების ეტაპობრივი გაუქმება გაზრდის პროდუქტებისა და მომსახურების ასორტიმენტსა და ხარისხს, გამოაცოცხლებს კონკურენციას და ექსპორტს, გააუმჯობესებს ბიზნეს-გარემოს, მოიხიდავს ინვესტორებს და, ამავედროს, აამაღლებს სოციალური, გარემოსდაცვისა და მომხმარებლის დაცულობის დონეს.

ექსპერტული კვლევების თანახმად ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ მნიშვნელოვნად გაზრდის საქართველოს ექსპორტს ევროკავშირში. გრძელვადიან ჭრილში საქართველოს მთლიანიში და პროდუქტი შეიძლება გაიზარდოს 4.2%-ით ანუ 292 მილიონი ევროს ოდენობით, თუკი ხელშეკრულება ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო ზონის შესახებ სრულფასოვნად გატარდება და შენარჩუნებული იქნება მისი შედეგები.

ასოცირების ხელშეკრულების პარაფირება ითვალისწინებს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ ხელშეკრულების ნაწილის ხელმოწერის დაჩქარებას 2014 წლისათვის.

ასოცირების შეთანხმებაზე ხელმოწერა არ ნიშნავს ევროკავშირში გაწევრიანებას, იგი არის წინა მოსამზადებელი ეტაპი გაწევრიანებისათვის. საქართველოსა და სხვა პოსტსაბჭოური ქვეყნებისათვის (მოლდოვა, უკრაინა) უფრო რთული მიდგომა იქნა შერჩეული ვიდრე დასავლეთ ბალკანეთის ქვეყნებისათვის, რომლებმაც პირდაპირ მიიღეს წევრობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ქვეყანა (მაროკო, ტუნისი) შეუერთდა ასოცირების ხელშეკრულებას, ისე რომ გამორიცხა მათი წევრად მიღება. ხორვატიას 12 წელი დასჭირდა ბრიუსელთან სტაბილიზაციისა და ასოცირების შეთანხმების ხელმოწერის დღიდან, რომ შეერთებოდა ევროკავშირს. თურქეთმა ხელი მოაწერა ასოცირებას 1962 წელს დღემდე არაა გაწევრიანებული.

უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ევროკავშირთან ასოცირება ვაჭრობის კუთხით ძალიან ბევრ პრობლემებთან იქნება დაკავშირებული, რომელთა შორის, ჩვენი აზრით, უნდა გამოიყოს შემდეგი:

1. ევროკავშირთან სავაჭრო ხელშეკრულების საბოლოო ვარიანტის გაფორმებამდე საქართველოს მოუწევს ძალიან დიდი მოცულობის ორგანიზაციულ-მეთოდური სამუშაოების ჩატარება. უპირველეს ყოვლისა საჭირო გახდება საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან ჰარმონიზაცია. ამასთან გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საუბარია დაახლოებით 300-მდე სამართლებრივ აქტზე, რომელიც ძალიან შრომატევადი სამუშაოა და დიდ დროს მოითხოვს.

2. საჭირო გახდება მთელი რიგი პოლიტიკური ხასიათის გადაწყვეტილებების მიღება, რომლებიც მეტნაკლებად წინააღმდეგობაში მოდიან ქართულ მენტალიტეტთან და ტრადიციებთან. მაგალითად, ისეთი კანონის მიღება, რომელიც ნებას დართავს ერთსქესიანთა ქორწინებას, მოსალოდნელია, რომ საზოგადოებისათვის მიუღებელი გახდება და დაძაბავს ქვეყანაში პოლიტიკურ ვითარებას. თუმცა არაა გამორიცხული, რომ ევროკავშირმა გაითავალისწინოს

ქათული მენტალიტეტი და სავალდებულოდ არ ჩათვალოს ამ ტიპის კანონის მიღება.

3. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყნის ეკონომიკის მომზადებას საექსპორტო პროდუქციის წარმოების გაზრდის მიმართულებით. ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციაში საქართველოს მოუმზადებლად გაწვევრიანებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. ეს იქიდანაც ჩანს, რომ დღეისათვის იმპორტი ექსპორტს თითქმის ოთხჯერ აღემატება, ამ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ექსპორტის ზრდის ტემპმა გადააჭარბა იმპორტის ზრდის ტემპს, რაც დადებითი მოვლენაა. საჭიროა ამ ტენდენციის გადრმავევა და შენარჩუნება, რათა ევროკავშირთან სავაჭრო ურთიერთობიდან ქვეყანამ სარგებელი მიიღოს.

4. ევროკავშირთან სავაჭრო კავშირის გადრმავევა დღის წესრიგში დააყენებს მთელ რიგ პრობლემებს სურსათის უვნებლობასთან და მისი ხარისხის ამაღლებასთან დაკავშირებით, რაც საკმაოდ დიდი მოცულობის ფინანსებთან იქნება დაკავშირებული. ამ მხრივ საჭირო გახდება როგორც უცხოური დონორების დახმარება, ასევე სახელმწიფო ბიუჯეტიდან ასიგნებების მობილიზება.

საქართველოს მთავრობის მთავარი ამოცანაა მოსალოდნელი გამოწვევების დაძლევა და ევროკავშირთან თავისუფალ ვაჭრობაზე პარაფირებული შეთანხმების ბოლომდე მიყვანა, რაც მისცემს შესაძლებლობას ქართველ მეწარმეებს, გარკვეული პირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში, თავისუფლად შევიდნენ მსოფლიოს უმსხვილეს ბაზარზე, რომელიც ამ ეტაპზე აერთიანებს 28 ქვეყანას და 500 მილიონზე მეტ მომხმარებელს. საქონლისა და მომსახურების თავისუფალი გადაადგილება ხელს შეუწყობს საქართველოს საექსპორტო პოტენციალის ზრდას, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების დაჩქარებას და მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებას.

ბამოყენებული ლიტერატურა

1. ვ. პაპავა, არატრადიციული ეკონომიკისი, თბ., 2011.
2. ი. მესხია, საერთაშორისო ვაჭრობა, თბ., 2011.
3. მ. თოქმაზიშვილი, ვაჭრობა, წიგნში „საქართველოს ეკონომიკა“, თბ., „სიახლე“, 2011.
4. რ. ფუტკარაძე, საქართველო-ევროკავშირის სავაჭრო-ეკონომიკური ურთიერთობები, თბ., „უნივერსალი“, 2010.
5. http://enpi-info.eu/maineast.php?id=35410&id_type=1&lang_id=450
6. http://www.resonancedaily.com/index.php?id_rub=2&id_artc=7858
7. <http://www.ei-lat.ge/vin-vin-aris/saqarthvelos-da-evrokavshiris-savatcro-urthierthobebi/363-shethankhmeba-ghrma-da-yovlismomcveli-thavisufali-vatcrobis-shesakheb.html?lang=ka-GE>